ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2018 წლის 9 თებერვალი

დაბა ჩოხატაური

„ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 09/02/2015, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.114.016250) შეტანილ იქნეს ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დადგენილების მე-2 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზაალ მამალაძე**

დანართი №1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

№	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2100
3	კომისიის თავმჯდომარე	1700
4	ფრაქციის თავმჯდომარე	1700
5	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1250

დანართი №2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობრივი სარგო
1	I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.(აპარატის უფროსი)	1600
2	II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.(განყოფილების უფროსი)	1200
3	III რანგი (პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)	800